



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 87

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
25.11.2024

87-06-4-202411251711



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების გიორგი ქარჩაიძის, ვაჟა გენგაშვილის, ვიქტორ ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის №49 დადგენილებისა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 6 ნოემბრის №988, 7 ნოემბრის №995 და №996 წერილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების - გიორგი ქარჩაიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, ვაჟა გენგაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 300 (სამასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, ვიქტორ ქარჩაიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 300 (სამასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 420 (ოთხას ოცი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

## მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშსწორებით, არასრულწლოვანი სპორტსმენების კანონიერი წარმომადგენლების და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

ზურაბი სალთხუციშვილი - 900 (ცხრაასი) ლარი, 3/5 ,

ლაშა გენგაშვილი - 300 (სამასი) ლარი, 3/5 ;

ბადრი ბედიანაშვილი - 420 (ოთხას ოცი) ლარი, 3/5

## მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

## მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

